ბრძანება № 1-54

გორი 02 10 2019წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ბაკალავრიატის საგანმანათებლო პროგრამებზე ადგილების რაოდენობის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 21 აგვისტოს N175/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის და პირობების" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის და მე-6 პუნქტების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის კორესპონდენციისა (#1247077, 23.09.2019) და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის N09-60 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წელს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ადგილების რაოდენობა დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი: გიორგი სოსიაშვილი

დანართი

N	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადგილების რაოდენობა
1	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	6
2	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	6
3	ისტორიის საბაკალავრო პროგრამა	6
4	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	10
5	ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	6
6	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა	6
7	საჯარო მმართველობის საბაკალვრო პროგრამა	10
8	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა	10